13267-15-4-2-201912100950

N 15-4/13267
10/12/2019

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მსჯავრდებულ [redacted] პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის N6 პენიტენციური დაწესებულებიდან აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივ საბჭოში დაგვიანებით გაგზავნასთან დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა 2019 წლის 6 მაისს მოინახულა N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული [redacted] შეხვედრისას მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის მიზნით, მისი დოკუმენტაცია N6 პენიტენციური დაწესებულებიდან აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივ საბჭოში გაიგზავნა 2 თვის დაგვიანებით. მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის მომდევნო განხილვაც 2 თვის დაგვიანებით მოხდებოდა, რასაც არამართებულად მიიჩნევდა.

ფაქტობრივი გარემოებები

N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N172850/23 წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლით გათვალისწინებული საშეღავათო ვადა, მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი, მსჯავრდებულმა [redacted] ფაქტობრივად მოიხადა 2018 წლის 15 დეკემბერს და საქართველოს „პატიმრობის კოდექსის" 42-ე მუხლის

თანახმად, შესაბამისი შუამდგომლობა, აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივ საბჭოს წარედგინა 2018 წლის 17 დეკემბრის N1108489 წერილით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შესწავლილ იქნა მსჯავრდებულ 2016 წლის 2 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რომლის მიხედვითაც ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილითა და სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით.

სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2015 წლის 11 დეკემბრიდან.

ამავე განაჩენით დადგენილია, რომ 2015 წლის 18 ივნისს დაკავებული იქნა რუსეთის ფედერაციაში და 2015 წლის 11 დეკემბერს ეტაპირებულ იქნა საქართველოში. შესაბამისად, მას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის დრო 2015 წლის 18 ივნისიდან 2015 წლის 11 დეკემბრამდე პერიოდი (5 თვე და 23 დღე).

სამართლებრივი დასაბუთება

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ექსტრადირებას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში დაპატიმრების შემთხვევაში, საქართველოში მისი პატიმრობის ვადა აითვლება საქართველოს შესაბამისი ორგანოებისთვის მისი ფაქტობრივად გადმოცემის მომენტიდან. ამასთან, ექსტრადირებას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადირების მიზნით პატიმრობის ვადა ჩაითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის საერთო ვადაში, რაც მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს განაჩენშიც მითითებულია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედი. მიერ ჩადენილი დანაშაული[1] სწორედ მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება. შესაბამისად, იგი პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმში ჩართვას ექვემდებარებოდა დანიშნული სასჯელის ვადის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ.

საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის" 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა, გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა, ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია, საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ეს აცნობოს მსჯავრდებულს. ამასთან, განმეორებით აღნიშნული საკითხის განხილვა შეიძლება 6 თვის გასვლის შემდეგ.

---

[1] სსკ-ის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული - ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მსჯავრდებულის სასჯელის ვადის ათვლა დაიწყო განაჩენის დადგენის დღიდან - 2015 წლის 11 დეკემბრიდან. შესაბამისად, პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნის უფლება უნდა მინიჭებოდა აღნიშნული თარიღიდან დანიშნული სასჯელის ორი მესამედის - 3 წლისა და 4 თვის გასვლის შემდგომ. ამრიგად, მსჯავრდებულს 2015 წლის 11 დეკემბერს დანიშნული სასჯელის შესაბამისი ნაწილი (5 წლის ორი მესამედი - 3 წელი და 4 თვე) მოხდილი ექნებოდა 2019 წლის 11 აპრილს.

დამატებით, იმის გათვალისწინებით, რომ, 2015 წლის 11 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულს დანიშნული სასჯელიდან მოხდილად ჩაეთვალა საექსტრადიციო პატიმრობის პერიოდი (5 თვე და 23 დღე) პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობის განხილვა შესაძლებელი უნდა ყოფილიყო 2019 წლის 11 აპრილამდე 5 თვითა და 23 დღით ადრე - 2018 წლის 19 ოქტომბრიდან.

ამ წესის საწინააღმდეგოდ, როგორც N6 პენიტენციური დაწესებულების 2019 წლის 11 ივნისის N172850/23 წერილიდან ირკვევა, დაწესებულებამ კანონმდებლობით დადგენილი საშეღავათო ვადის გამოთვლის წესი არასწორად და მსჯავრდებულის საზიანოდ განმარტა, რის შედეგადაც სათანადო დოკუმენტაცია ადგილობრივ საბჭოში 1 თვისა და 29 დღის დაგვიანებით - 2018 წლის 15 დეკემბერს გადააგზავნა.

დასკვნა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მსჯავრდებული განცხადებების, პენიტენციური დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და განაჩენის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ N6 პენიტენციური დაწესებულებამ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებული შესაბამისი შუამდგომლობა და დოკუმენტაცია აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივ საბჭოში 2 თვის გაუმართლებელი დაგვიანებით გადააგზავნა.

კერძოდ, მსჯავრდებულს 2015 წლის 11 დეკემბრის განაჩენით სასჯელის სახედ და ვადად დაენიშნა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის კანონით გათვალისწინებული პერიოდი (ორი მესამედი - 3 წელი და 4 თვე) გავიდოდა 2019 წლის 11 აპრილს. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს განაჩენით საექსტრადიციო პატიმრობის პერიოდი ჩაითვალა სასჯელის მოხდის ვადაში, ანუ მსჯავრდებულს მოხდილად ჩაეთვალა სასჯელი 5 თვისა და 23 დღის ოდენობით, შუამდგომლობის განხილვა უნდა მომხდარიყო 2018 წლის 19 ოქტომბრიდან და მომდევნო ყოველ 6 თვეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით გამოკვლეულ იქნას მსჯავრდებულ დოკუმენტაციის დაგვიანებით გაგზავნასთან დაკავშირებული ყველა გარემოება. გატარდეს ღონისძიებები, რათა შემდგომი პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურა განხორციელდეს ზემოთ მოყვანილი წესის გათვალისწინებით, კანონით დადგენილ ვადაში (პენიტენციური დაწესებულების მიერ დაგეგმილ ვადაზე 1 თვითა და 29 დღით ადრე). ასევე, შეისწავლოთ პენიტენციურ სისტემაში მყოფი მსჯავრდებულების ანალოგიური შემთხვევები და მსგავსი ტენდენციის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოთ

წინამდებარე რეკომენდაციაში წარმოდგენილი პრინციპების შესაბამისი სწორი პრაქტიკის დანერგვა.

ამასთან, გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადაში, გვაცნობოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თქვენ მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაცია.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.